ინტერვიუ უნგრეთის ეროვნული ასამბლეის ევროპის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარესთან, ქალბატონ ჯუდიტ ვარგასთან

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი უახლოეს პერიოდში გადაწყდება. შეგიძლიათ გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა გააკეთოს საქართველომ? როგორია ამჟამად ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა?

ტრადიციულად, უნგრეთი ევროკავშირის გაფართოების პროცესის ერთ-ერთი ყველაზე ერთგული მხარდამჭერია. ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ ამ პროცესს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, თუმცა ის დამსახურებაზე უნდა იყოს დაფუძნებული. 2024 წელს, ევროკავშირის საბჭოში უნგრეთის თავმჯდომარეობის პერიოდში, შევეცდებით დავაჩქაროთ ეს პროცესი ყველა კანდიდატი ქვეყნისთვის.

ჩვენ მივესალმებით ევროკომისიის უახლეს გაფართოების პაკეტს და, შესაბამისად, მოხარულნი ვართ, რომ 2023 წლის დეკემბერში ევროპულმა საბჭომ კანდიდატის სტატუსი მიანიჭა საქართველოს, რადგან თქვენმა ქვეყანამ დაიმსახურა ეს თავისი მიღწევებით.

უნგრეთი და უნგრეთის ეროვნული ასამბლეა მხარს უჭერს საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესს. რაც შეეხება მომზადებას ეროვნულ დონეზე, დარწმუნებული ვარ, რომ ევროკავშირში გაწევრიანება არის ყველაზე კომპლექსური ამოცანა და გამოწვევა კანდიდატი ქვეყნისთვის. კანდიდატი ქვეყნის ეროვნულ დონეზე მომზადების პროცესი არის მეტად მრავალმხრივი, რაც გავლენას ახდენს ცხოვრების ბევრ სფეროზე. ეს, მათ შორის, მოიცავს პოლიტიკური კრიტერიუმების დაკმაყოფილებას, საკანონმდებლო დაახლოების ამოცანებს, სამართალდამცავი ინსტიტუტების შემდგომ განვითარებას და საჯარო მოხელეებისა და მოსამართლეების პროფესიულ მომზადებას.

ევროკავშირის ერთობლივი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, რომლის მიზანიცაა კონფლიქტების მოგვარება და საერთაშორისო ურთიერთგაგების გაუმჯობესება, ემყარება დიპლომატიასა და საერთაშორისო ნორმების პატივისცემას. ევროკავშირის საერთაშორისო ფუნქციების თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ვაჭრობა, ჰუმანიტარული დახმარება და განვითარების სფეროში თანამშრომლობა.

ბოლო თვრამეტი თვის განმავლობაში, ევროკავშირმა სერიოზული და უპრეცე-

დენტო სანქციები დაუწესა რუსეთს უკრაინის წინააღმდეგ წარმართული აგრესიული ომის საპასუხოდ. ეს ყველაფერი ემატება 2014 წლიდან, ყირიმის ანექსიის შემდეგ, რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ ზომებს. სანქციები მოიცავს მიზანმიმართულ შემაკავებელ ზომებს (ინდივიდუალურ სანქციებს), ეკონომიკურ სანქციებსა და სავიზო ზომებს.

ევროპარლამენტის საზედამხედველო უფლებამოსილება წარმოადგენს დემოკრატიული მმართველობის მნიშვნელოვან ნაწილს. შეგიძლიათ უფრო მეტი გვითხრათ იმის შესახებ, თუ ზუსტად რას გულისხმობს ეს მანდატი?

ევროპარლამენტმა, რომელიც არის ევროკავშირის ერთადერთი პირდაპირ არჩეული ინსტიტუტი, შეიძინა გაზრდილი კომპეტენციები ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში ევროკავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებში შეტანილი ცვლილებების შედეგად. ევროპარლამენტის საზედამხედველო უფლებამოსილება მოიცავს რამდენიმე პროცედურასა და შესაძლო ინსტრუმენტებს ევროკომისიასთან მიმართებით, როგორიცაა კომისრებისა და კომისრების მიერ დანიშნული კანდიდატების მოსმენები ან, ჯერჯერობით თეორიულად არსებული, ევროკომისიის კოლეგიის მიმართ უნდობლობის გამოცხადების წინადადება.

საბჭოსთან მიმართებით კი ევროპარლამენტის ყველაზე მნიშვნელოვან საზედამხედველო უფლებამოსილებას წარმოადგენს ევროპარლამენტის ცალკეული წევრების მიერ საბჭოსთვის კითხვების წარდგენა წერილობითი და ზეპირი ფორმით.

გარდა ამისა, ევროპარლამენტის წევრს უფლება აქვს, შეადგინოს არასავალდებულო ანგარიში ან რეზოლუცია პოლიტიკურად აქტუალურ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის კანდიდატი ქვეყნის, პოტენციური კანდიდატი ქვეყნის ან სხვა მესამე ქვეყნის მდგომარეობის შესახებ. ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი ყოველ წელს განიხილავს ევროკომისიის წლიური გაფართოების პაკეტს, ამ საკითხზე პასუხისმგებელი შესაბამისი კომისრის პრეზენტაციის ფარგლებში.

ევროპარლამენტის მონაწილეობა გაფართოების პროცესში უზრუნველყოფილია ე. წ. საპარლამენტო ასოცირების კომიტეტების მეშვეობით, რომლებიც იქმნება შესაბამისი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებებით. ეს ერთობლივი საპარლამენტო ინსტიტუტი უზრუნველყოფს მოსაზრებათა რეგულარულ გაცვლას და დიალოგს ევროპარლამენტის დელეგაციებსა და შესაბამისი ქვეყნის პარლამენტის წევრებს შორის.

ევროპარლამენტის შეხედულებით, „საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის“ ძირითად ამოცანებს წარმოადგენს ევროკავშირსა და გაწევრიანების მსურველ ქვეყანას შორის ურთიერთობების ყველა ასპექტის განხილვა და ასევე ასოცირების

შესახებ შეთანხმების შესრულებისა და გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების მონიტორინგი. ამ ერთობლივ ინსტიტუტს პოლიტიკური წვლილი შეაქვს გაწევრიანების პროცესში ერთობლივი რეკომენდაციების (ერთობლივი განცხადებების) მიღებით, რომელთა ადრესატსაც წარმოადგენენ კანდიდატი ქვეყნის პარლამენტი და მთავრობა, ისევე როგორც ევროკომისია და საბჭო.

ევროკავშირში კანონმდებლობის დაახლოებას არსებითი მნიშვნელობა აქვს. როგორ გესახებათ კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მნიშვნელობა და რა გამოწვევების წინაშე დგას ევროკავშირი ამ კუთხით?

გაწევრიანების წინა პერიოდში, უნგრეთში, საკანონმდებლო დაახლოების პროცესი მიმართული იყო ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებასა და ევროკავშირში გაწევრიანებისთვის სამართლებრივად მომზადებაზე. ანალოგიურად, ახლანდელი ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნებიც საკანონმდებლო დაახლოების ამოცანებს იგივე მიზნებისთვის ასრულებენ.

მოვალეობათა მოცულობა, რა თქმა უნდა, განსხვავდება ევროკავშირში გაწევრიანებამდე და მის შემდეგ, რადგან გაწევრიანებამდე უზრუნველყოფილი უნდა იყოს ევროკავშირის მთლიანი კანონმდებლობის ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოტანა და განხორციელება. 2004 წლამდე უნგრეთში მოგვიწია ჩვენი კანონების დაახლოება თითქმის 1 800 დირექტივასთან, 6 000 გადაწყვეტილებასთან და 10 000 მეორადი კანონმდებლობის სამართლებრივ ტექსტთან.

უნგრეთში საკანონმდებლო დაახლოება არ ყოფილა სპონტანური აქტივობა, არამედ ის ხორციელდებოდა კანონმდებლობის დაახლოების პროგრამების საფუძველზე. მთავრობამ, როგორც ამ პროცესის მამოძრავებელმა ძალამ, გადამწყვეტი მნიშვნელობის ამოცანები შეასრულა დაახლოების პროცესში, კერძოდ, მან შეიმუშავა და დაამტკიცა დაახლოების პროგრამა, ვინაიდან თავად ამოცანების რაოდენობა ამართლებს ევროკავშირის კანონმდებლობის საფუძვლიანად და გულდასმით შესწავლას და მისი განხორციელების დაგეგმვას. გარდა ამისა, მთავრობამ უზრუნველყო საკანონმდებლო დაახლოების თეორიული და მეთოდოლოგიური ერთგვაროვნება.

ევროკავშირის კანონმდებლობა არ განსაზღვრავს საკანონმდებლო დაახლოების მეთოდს, არც სამართლებრივ ფორმას და არც იმ სახელმწიფო დაწესებულებებს, რომლებმაც ის უნდა განახორციელონ. ზოგადად, ძირითადად სწორედ მთავრობას ეკისრება პასუხისმგებლობა კანონების დაახლოებაზე. მთავრობა ადგენს კოორდინაციის მექანიზმს ინტეგრაციის პროცესში და ასევე მკაფიოდ განსაზღვრავს სამინისტროთა პასუხისმგებლობებს. უნგრეთში სწორედ დარგობრივი სამინისტროს ვალდებულებას წარმოადგენდა თავისი საქმიანობის ფარგლებში შემოთა-

ვაზებული კანონპროექტის შესაბამისობის უზრუნველყოფა ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

აღსანიშნავია, რომ გაწევრიანების წინა პერიოდში კანდიდატ ქვეყანას აქვს გარკვეული მანევრირების საშუალება, რომ თავად განსაზღვროს საკანონმდებლო დაახლოების ტემპი, სტრუქტურა და ფაზები. ეს უნდა იყოს სტრუქტურირებულ საკანონმდებლო დაახლოების პროგრამაზე დაფუძნებული, კოორდინირებული პროცესი, რომლის ფარგლებშიც მკაფიო პასუხისმგებლობები იქნება განსაზღვრული მთავრობისა და პარლამენტისთვის. საკანონმდებლო დაახლოება არ ნიშნავს კანდიდატი ქვეყნის მიერ ევროკავშირის კანონმდებლობის ავტომატურად გადმოტანას ეროვნულ კანონმდებლობაში, არამედ ის გულისხმობს სისტემატურ განხორციელებას, ვინაიდან, გაწევრიანების დღიდან, ევროკავშირის კანონმდებლობა სრულად უნდა განხორციელდეს პოლიტიკის ყველა სფეროში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადმინისტრაციული და სამართალდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებას, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ ევროკავშირის კანონმდებლობის სათანადო გამოყენებისთვის.

რაც შეეხება გამოწვევებს, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ კანდიდატი ქვეყანა მიჰყვება მოძრავ მიზანს, რადგან ევროკავშირის კანონმდებლობა მუდმივად იცვლება. აქედან გამომდინარე, საკანონმდებლო დაახლოების პროცესზე უნდა განხორციელდეს რეგულარული საპარლამენტო და სამთავრობო კონტროლი. გარდაუვალია ეროვნულ პარლამენტში სტანდარტული პროცედურის დადგენა, რომლითაც გადამოწმდება პარლამენტის წევრების ან კომიტეტების მიერ წარმოდგენილი ცვლილებების ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აღმოსავლეთ ევროპაში დემოკრატიული ღირებულებებისა და ევროინტეგრაციის პოპულარიზაციის კონტექსტში, როგორ შეაფასებდით ამ რეგიონში საპარლამენტო თანამშრომლობის კუთხით არსებულ ვითარებას?

1990 წლიდან ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზა ითვლებოდა სტრატეგიულ მიმართულებად ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის. ევროკავშირის ისტორიული, მეხუთე გაფართოება მოხდა 2004 წელს, რვა ახალი ქვეყნის სრულუფლებიან წევრად მიღებით. დღესდღეობით, ევროკავშირს საერთო ჯამში 11 წევრი სახელმწიფო ჰყავს ევროპის აღმოსავლეთ ნაწილიდან. ამ რეგიონში საპარლამენტო თანამშრომლობის საწყის ეტაპს წარმოადგენდა აუცილებელი ორმხრივი შეთანხმებების მიღება და ნებისმიერი ღია საკითხის რეალიზებადი გადაწყვეტა. 1990-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა რეგიონული საპარლამენტო თანამშრომლობის ახალი ფორმები, როგორიცაა, „ვიშეგრადის“ თანამშრომლობა ან „ცენტრალური ევროპის ინიციატივა“. აქვე დავძენ, რომ ამ კუთხით შეიძლება ასევე გათვალისწინებულ იქნეს საპარლამენტო თანამშრომლობის სხვა

ფორმებიც, როგორიცაა, მეგობრობის ჯგუფები პოლიტიკურ დონეზე და საპარლამენტო ოფიციალური პროგრამები პერსონალის დონეზე.

როგორ შეაფასებდით ევროინტეგრაციის კუთხით საქართველოსა და უნგრეთს შორის თანამშრომლობას? კიდევ რა შეიძლება გაკეთდეს მომავალში პარტნიორობის გაღრმავებისთვის?

თანამშრომლობა საქართველოსა და უნგრეთს შორის არის სტრატეგიული ხასიათის, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება რეგულარული ვიზიტები და მინისტრთა კაბინეტის ერთობლივი შეხვედრები. ასევე, პატივი მქონდა ამ წელს ორჯერ ვწვეოდი თბილისს იუსტიციის მინისტრის რანგში. ჩემი, როგორც უნგრეთის ეროვნული ასამბლეის ევროპულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, ახალი კომპეტენციის ფარგლებში, ახლახან ვუმასპინძლე რამდენიმე მაღალი რანგის დელეგაციას საქართველოდან. აღნიშნული შეხვედრების დროს ხაზი გავუსვი უნგრეთის პოზიციას საქართველოს ევროპულ მისწრაფებებთან დაკავშირებით: უნგრეთი მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს და მის ევროინტეგრაციის გზას. ამ პოზიციას ვაფიქსირებ საპარლამენტთაშორისო კონფერენციებზეც, როგორიცაა, COSAC („ევროკავშირის ეროვნული პარლამენტების ევროპულ საქმეთა კომიტეტების კონფერენცია“), რომელიც აერთიანებს ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს ეროვნული პარლამენტების, კანდიდატი ქვეყნებისა და ევროპარლამენტის წარმომადგენლებს. რაც შეეხება შემდგომ შესაძლებლობებს, შემიძლია გავიხსენო უნგრეთის ეროვნული ასამბლეის მიერ სხვა პარტნიორ ევროკავშირის ინსტიტუტებთან თანამშრომლობით განხორციელებული შესაძლებლობათა ზრდის აქტივობები და ე. წ. დაძმობილების პროგრამები, რამაც გააძლიერა ევროკავშირის რამდენიმე კანდიდატი ქვეყნის პარლამენტების ფუნქციონირება.